



# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 აგვისტო 2024



N 484/ს

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, საგარეჯოსა და თოხლიაურის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე წელიწადში ჯამურად 2 064 604 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, საგარეჯოსა და თოხლიაურის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე, წელიწადში ჯამურად 2 064 604 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ქ. საგარეჯოსა და სოფ. თოხლიაურის ტერიტორიაზე და წარმოდგენილია ორ უბნად, კერძოდ, საგარეჯოს უბანზე განთავსებულია ერთი სათავე ნაგებობა (დრენაჟი), ხოლო თოხლიაურის უბანზე – ორი ჭაბურღილი. საგარეჯოს სათავე ნაგებობა მდებარეობს ზღვის დონიდან დაახლოებით 860-900 მეტრ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: X-526551.135, Y-4622104.630; X-526536.990, Y-4622184.335; X-526503.000, Y-4622197.440; X-526491.000, Y-4622260.000; X-526449.000, Y-4622325.000; X-526434.000, Y-4622379.000; X-526414.000, Y-4622407.000; X-526400.000, Y-4622400.000; X-526352.000, Y-4622373.000; X-526320.000, Y-4622429.000; X-526297.000, Y-4622474.000; X-526265.000, Y-4622502.000; X-526226.000, Y-4622514.000; X-526214.720, Y-4622521.020; X-526222.640, Y-4622541.805; X-526243.255, Y-4622567.240; X-526316.820, Y-4622563.120; X-526364.940, Y-4622547.310; X-526405.670, Y-4622529.575; X-526418.065, Y-4622505.425; X-526444.560, Y-4622462.415; X-526466.990, Y-4622422.005; X-526492.255, Y-4622370.445; X-526504.630, Y-4622335.380; X-526520.170, Y-4622285.565; X-526521.685, Y-4622273.385; X-526528.435, Y-4622253.595; X-526534.310, Y-4622237.275, X-526539.530, Y-4622215.960; X-526555.840, Y-4622154.395; X-526556.480, Y-4622110.150; ფართობი: 36 200 მ<sup>2</sup>), ხოლო თოხლიაურის უბნის ჭაბურღილები მდებარეობს ზღვის დონიდან დაახლოებით 560-561 მეტრ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: №1 – X-535157.478, Y-4617693.447; №2 – X-535339.077, Y-4617707.052). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საგარეჯოს უბნიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, ქ. საგარეჯო, დაშორებულია დაახლოებით 90 მეტრით, ხოლო თოხლიაურის უბნიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი, სოფ. თოხლიაური, დაშორებულია დაახლოებით 1 კილომეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წიაღისაარგებლობის ობიექტიდან გათვალისწინებულია წელიწადში ჯამურად 2 064 604 მ<sup>3</sup> (საგარეჯოს უბნიდან – 1 979 208 მ<sup>3</sup>, თოხლიაურის უბნიდან – 85 396მ<sup>3</sup>) მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვება, ხოლო ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 25 წელი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება ფოროვანი და ნაპრალოური წყლების იორი-შირაქის არტეზიულ აუზს და წარმოდგენილია დაუნაწევრებელი მეოთხეულის ალუვიურ-პროლუვიური, პროლუვიური და დელუვიური ნალექების წყალშემცველი კომპლექსით, რომელიც შეიცავს როგორც გრუნტის, ასევე, წნევიან წყლებს. აღნიშნული ნალექები ხასიათდება სიმძლავრის ფართო ცვალებადობით (10-დან 237 მ-მდე), ხოლო წყალშემცველებად, ძირითადად, ითვლება კაჭარ-კენჭნარები ქვიშისა და თიხნარების შუაშრეებით და ლინზებით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მორფოლოგიური თვალსაზრისით, საგარეჯოს უბანზე არსებული სათავე ნაგებობა მდებარეობს მდ. თვალთხევის მარჯვენა მხარეს და წარმოდგენილია დრენაჟის სახით. აღნიშნული დრენაჟი ზედაპირზე ასახულია შახტური ჭების კომპლექსით, რომლებსაც გააჩნია საერთო ფუნდამენტი და ერთმანეთთან დაკავშირებულია ზიარჭურჭლის პრინციპით, საიდანაც მიღების საშუალებით წყალი იკრიბება იზოლირებულად არსებულ წყალშემკრებებში. თოხლიაურის უბანზე მდებარე ორი თვითმდენი ჭაბურღილი განლაგებულია ვაკე-რელიეფის მქონე ტერიტორიაზე და მათი სიღრმე დაახლოებით 140-150 მეტრია. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სართულის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სართულის კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საგარეჯოს ტერიტორია შესწავლილია ჰიდროგეოლოგიური აგეგმვის სტადიაზე. სალიცენზიო ობიექტის (დრენაჟი და ჭაბურღილები) ზუსტი დებიტი უცნობია, მაგრამ ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, წელიწადში ჯამურად 2 064 604 მ<sup>3</sup> რაოდენობის წყლის მიღება შესაძლებელია. საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ქიმიური შედგენილობით, საგარეჯოს სათავე ნაგებობის მიწისქვეშა წყლები ძირითადად ჰიდროკარბონატული, ნატრიუმიან-მაგნიუმიანი ტიპისაა, ხოლო საერთო მინერალიზაცია 0,3-0,8 მგ/ლ-ის ფარგლებში მერყეობს. თოხლიაურის უბანზე არსებული ჭაბურღილების წყლები, გეოლოგიური ფონდების მონაცემებით, ჰიდროკარბონატული ნატრიუმიანი ტიპისაა, ხოლო საერთო მინერალიზაცია 0,6 მგ/ლ-ს შეადგენს. ჰორიზონტის წყლების სანიტარიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენება შესაძლებელია.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საგარეჯოს უბნის ტერიტორია საჭიროებს მხოლოდ დასუფთავებას, ხოლო თოხლიაურის უბანზე არსებული ჭაბურღილები ასევე საჭიროებს თავმორთულობის მოწესრიგებასა და ერთი მეტრის რადიუსზე დაბეტონებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან და ახალი ტერიტორიების ათვისებასთან, რაც გამოიწვევდა გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა, გარემოს დაბინძურება და ხმაური, ასევე, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ხოლო ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომელსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, წიაღითსარგებლობის ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს, ხოლო მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, საგარეჯოს უბანს ემიჯნება სახელმწიფო ტყე და მარიაძვერის დაცული ტერიტორია.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის

მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტიდან წელიწადში ჯამურად 2 064 604 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვება არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,**

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ საგარეჯოსა და თოხლიაურის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე წელიწადში ჯამურად 2 064 604 მ<sup>3</sup> მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/484-21-4-202408291742>

